ხელშეკრულება №06-110
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი

11 დეკემბერი 2013 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი **ქ.თბილისის №74 საჯარო სკოლა,** საიდენტიფიკაციო კოდი 206105150, მდებარე: ქ.თბილისი, კაკაბეთის ქ. №2, წარმომადგენელი მისი დირექტორის მ.შ. მარინე ჯარმელიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") ერთის მხრივ და მეორეს მხრივ **შპს „დი და ჯი"** საიდენტიფიკაციო კოდი **202066655,** მდებარე ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №154, წარმომადგენელი მისი დირექტორის ლაშა მაისურაძის (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით, ეხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის საგანია საშობაო ნაძვის ხის მოსართავების გამარტივებული შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია საშობაო ნაძვის ხის მოსართავები (დანართი №1)

3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება **ლარებში**

3.2. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-2.1. მუხლის შესაბამისად და შეადგენს **105 ლარს 10 თეთრს.**

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და შეადგენს **ასხუთ ლარს 10 თეთრს.**

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტიები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სახელშეკრულებო საქონელი მწარმოებლის საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურებით, იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის მიერ დაცული იქნა ექსპლუატაციის წესები.

4.2. მიწოდებულ მომსახურებაზე საგარანტიო ვადა ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია, შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის მომსახურება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან **ათი** კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, კაკაბეთის ქუჩა №2

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით ან/და „მიმწოდებლის" მიერ სსიპ "შემოსავლების სამსახურის" ვებ-პორტალით გადაგზავნილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით ან/და სასაქონლო ზედნადებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მომწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
7.3. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
7.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის საფუძველზე.
7.5. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: სახელმწიფო ბიუჯეტი
7.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი

8. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
8.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს **ათი** კალენდარული დღისა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%–ის ოდენობით.
9.3 სახელშეკრულებო საქონლის ასორტიმენტზე და რაოდენობაზე, ასევე მომსახურების არაჯეროვნად შესრულებაზე რეკლამაცია (პრეტენზია) მიმწოდებელს წარედგინება შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სახელშეკრულებო საქონლის მიღებიდან 7(შვიდი) დღის ვადაში.
9.4 მიმწოდებელი ვალდებულია რეკლამაცია (პრეტენზია) განიხილოს მისი მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში, თუ ამ ვადაში არ უპასუხებს, რეკლამაცია (პრეტენზია) ჩაითვლება მიღებულად და აღიარებულად.

10. ფორს–მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში მხარეები არ აგებენ პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობაზე;
10.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული მდგომარეობა, ვალდებულია 10(ათი)დღის ვადაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული მდგომარეობის დაწყების სავარაუდო ხანგრძლივობისა და დამთავრების შესახებ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და პირობები

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2013 წლის „20" „დეკემბრამდე"**
11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით, წინამდებარე ხელშეკრულების ფორმის დაცვითა და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

12. დავათა გადაწყვეტა

12.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხებს განიხილავს სასამართლო.
12.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმებით ან ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების არსებობისას.

13. სხვა პირობები

13.1 მხარეებს არ აქვთ უფლება წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული უფლება-მოვალეობები გადასცენ მესამე პირს, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

13.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2(ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო მეორე შემსყიდველთან.

14. მხარეთა იურდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქ. თბილისის №74 საჯარო სკოლა
მისამართი: ქ.თბილისი
კაკაბეთის ქუჩა №2
საკონტ. ტელ: 277–64–78;
საიდენტ.კოდი: 206 105 150
სს „ ლიბერთი ბანკი"ს ცენტ.ფილ.
ბანკის კოდი : LBRTGE22
ანგსწ.ანგარიში GE32LB0121121092802000

დირექტორი: _____

ბ.ა.

მიმწოდებელი

შპს „დი და ჯი"

მისამართი: ქ.თბილისი
აღმაშენებლის გამზირი №154
საკონტ. ტელ: 232 91 01 69
საიდენტ. კოდი: 202066655
სს „საქართველოს ბანკი "
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE70BG0000000344150700

დირექტორი: _____

ბ.ა.

#06-110 ხელშეკრულების დანართი #1
11.12.2013წ.

#	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	ნაძვის ხის ბურთი 7სმ. ოქროსფერი 12ც. (18)	2	10.50	21.00
2	ნაძვის ხის ბურთი 7სმ. წითელი 12ც. (18)	1	10.50	10.50
3	საახალწლო ლენტა 2,7 მ.(240)	2	2.50	5.00
4	ნაძვის ხის ბურთი 5სმ. ოქროსფერი 20ც. (72)	2	4.90	9.80
5	საახალწლო ბაფთა წითელი 12ც. 6x6,5 სმ. (700)	6	0.30	1.80
6	საახალწლო ქუდი წითელი 30x40 სმ. 300	1	0.60	0.60
7	საახალწლო გირლანდა 10მ. (100)	2	7.50	15.00
8	საახალწლო გირლანდა 10მ. (100)	1	14.50	14.50
9	ნაძვის ხის დასაფენო ხალიჩა 120სმ. მრგვალი	1	26.90	26.90
	სულ:	18		105.10

სსიპ ქალაქ თბილისის #74 საჯარო
სკოლის დირექტორის მ.შ. მარინე ჯარმელიშვილი

შპს „დი და ჯი"-ს დირექტორი ლაშა მაისურაძე